ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ტფილისი

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1928 წლის მაისის 16.	№ 12 განყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 125. ა/კსფსრ-ში ტყავეულობის ბაზრისა და წარმოების მოწესრიგების შესახებ.

„ 126. ა კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით, საერთო-საფედერაციო ბიუჯეტით და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებით გასატარებელი შემოსავალ-გასავლის საბალანსო ჯუმლების ფორმის შესახებ.

„ 127. ამიერკავკასიის სოლქო-კონტორის—„ა/კ. კრედიტ-ბიურო"-ს—აპარატის გამოყენების შესახებ.

„ 128. ადგილობრივი მნიშვნელობის ჰიდრო-ელექტრო-სადგურების მოწყობის დროს წყლისა და ჰიდროენერგიის ხარჯვის მოწესრიგების შესახებ.

„ 129. სოფლის მოსახლეობის უღარიბესი ნაწილისათვის კრედიტის მისაცემი საამიერკავკასიო ფონდის ხარჯვის ანგარიშების წარდგენის წესების დამატების შესახებ.

„ 130. სამრეწველო საწარმოთა მუშაობის აღნუსხვის შესახებ.

„ 131. ტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივების სამუშაოთა ადგილებზე მომქმედი შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებისათვის სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1928 წ. იანვარსა 9-ს დამტკიცებული დებულების ა/კსფსრ ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

„ 132. სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საგლეხო მეურნეობაში დაქირავებით მომუშავე პირთა სოციალური წესით დაზღვევის თაობაზე" 1927 წ. ოქტომბრის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების გასხორციელების წესის შესახებ.

„ 133. ტყავის ფართობის მეტრული საზომით გაზომვის შესახებ.

„ 134. სახალხო კომისარიატებისათვის იმ უფლების მინიჭების შესახებ, რომ კერძო ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ შესრულებულ მუშაობაზე გაწეული ხარჯის ასანაზღაურებლად დაეწესონ და გადაახდევინონ მათ განსაკუთრებული გამოსაღები.

მუხ. 135. კვალიფიციურ მშენებელ მუშათა სასწრაფო მომზადებისათვის ანარიცხების გადახდევინებისა და ხარჯვის წესის შესახებ.

„ 136. საუწყებათაშორისო სატარიფო თაობირის დებულების დამატების შესახებ.

„ 137. ბამბის ტვირთის ა/კსფსრ ფარგლებს გარეთ გაზიდვისა და ა/კსფსრ ფარგლებში გადაზიდვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 43 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

125. ა/კსფსრ ტყავეულობის ბაზრისა და წარმოების მოწესრიგების შესახებ.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ტყავეულობის ნედლეულის ბაზრის მომწესრიგებელ ღონისძიებათა შესახებ“ 1928 წ. იანვრის 27 თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1928 წ. მე-9 №-რი, მუხ. 80) დადგენილების შესასრულებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს (სამაზრო, საუბნო, სათემო და სადაირო აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობაში მყოფთ), ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციასა და კერძო პირს (ფიზიკურსა და იურიდიულს) აეკრძალება ტყავეულობის ახალი ქარხნის აგება, აგრეთვე არსებულის ხელახალი გაწყობა ან კაპიტალურად შეკეთება, უკეთუ ეს თვითეულ ცალკე შემთხვევაში განსაკუთრებულად ნებადართულ არ იქნა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, რესპუბლიკანური სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარდგენით.

2. სახელმწიფო ტყავეულობის ქარხანა შეიძლება იჯარით მიეცეს მარტოოდენ ნსახელმწიფო ტყავის ტრესტსა და სამრეწველო კოოპერატიულ ორგანიზაციას და ისიც მხოლოდ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დასტურით.

მომქმედი საიჯარო ხელშეკრულება ძალაში რჩება მხოლოდ მისი ვადის გასვლამდე.

3. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—წინადადება მისცენ სათანადო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს—გადასინჯონ სახელმწიფო და ადგილობრივი ტრესტების მიერ (ბაქოს ქიმ-ტყავის ტრესტი, სომხეთის ტყავის ტრესტი და საქართველოს ტყავის ტრესტი) გადამუშავებული ტყავის საქონლის ასორტიმენტი და სახეები, რათა რაც შეიძლება მეტად შეუფარდონ ეს საქონელი ბაზრის მოთხოვნილებას.

ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ტყავეულობის ქარხნები (სამაზრო, საუბნო, სათემო და სადაირო აღმ. კ-ტების ხელში მყოფი), აგრეთვე სამრეწველო კოოპერაციისა და შრომის კოლექტივების ტყავეულობის ქარხნები გადაყვანილ იქნენ მარტოოდენ საგლეხო (ეგრედ წოდებული აზიური) ტყავის საქონლის გადამუშავებაზე.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დააკისრონ სათანადო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს აგეგმონ, რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო ტყავეულობის მრეწველობასთან ერთად, აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის ტყავეულობის მრეწველობა, კოოპერაციისა და შრომის კოლექტივიბისა და სხვა ტყავის ქარხნები.

5. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—წინადადება მისცენ სათანადო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს, რათა მათ გააძლიერონ ცალკეული არტელებისა და შინამრეწველების ჩაბმა სამრეწველო კოოპერაციის რესპუბლიკანური შენაერთების სისტემაში.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დააკისრონ სათანადო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს—ტყავის ქარხნებისა და ნედლეულის საწყობების მდგომარეობის გამოსაკვლევად მიაწყონ სასანიტარო-სატეხნიკო კომისიები, რათა შემოწმებულ იქნეს, რამდენად სათანადოდ არის მოწყობილი ნედლეულის წარმოებისა და შენახვის საქმე, რისთვისაც უნდა იხელმძღვანელონ არსებული საერთო დებულებანი ტყავის ქარხნების მოწყობისა და მშენებლობის წესის შესახებ.

7. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა უნდა გამოსცეს ამა დადგენილების მე-6 მუხლით გათვალისწინებული კომისიების სახელმძღვანელოდ სპეციალური ინსტრუქცია.

8. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—წინადადება მისცენ სათანადო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, რათა მათ შეიმუშაონ ღონისძიებანი სახელმწიფო და კოოპერატიული ტყავეულობის ქარხნებში სპეციალური ადგილობრივი, გლეხობაში და მთაში სახმარი, ფეხსაცმლის დამზადებისათვის.

9. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მიიღოს ყოველი ღონისძიება, რაც უზრუნველჰყოფს დამზადების ადგილებიდან, გეგმის მიხედვით მომქმედ დამმზადებლების მიერ სახელმწიფო ტყავეულობის მრეწველობის მოსამარაგებლად და საექსპორტოდ დანიშნული ტყავეულობის ნედლეულის თავის დროზე გამოტანას; თანაც ხელი შეუწყონ, რომ დამმზადებელთა საწყობებში არ დაგროვდეს ზედმეტი ნედლეული ან არ მოხდეს დაყოვნება სახელმწიფო ტყავეულობის მრეწველობისათვის ნედლეულის გადაცემის საქმეში.

10. მიენდოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—წინადადება მისცეს ა/კსფსრ ფარგლებში მომუშავე სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატის აპარატს, რათა მან დაუყოვნებლივ ღონისძიება მიიღოს დამმზადებელი ქსელის გასაფართოებლად, რაც უზრუნველჰყოფს ა/კსფსრ სანედლეულო ბაზრის სრულად ხელში დაჭერას.

11. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გასცენ განკარგულება, რათ ხელისუფლების ყველა ადგილობრივმა ორგანომ ხელი შეუწყოს სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატს დამმზადებელი ქსელის გაზლის საქმეში; თანაც მიიღონ ღონიძიება, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები არ ერეოდენ ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და მისი ორგანოების განკარგულებაში, რაც მიმართული იქნება ა/კსფსრ-ში სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატის დამმზადებელი ქსელის ორგანიზაციისათვის როგოგორც ქალაქად, ისე სოფლად.

12. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—შეადგინოს ერთი თვის ვადაზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელით ყველა საბჭოთა, საზოგადოებრივი და კოოპერატიული ორგანიზაციისადმი აგრეთვე გლეხ-მოსახლეობისადმი მიმართვა, რომელშიაც აღნიშნოს ძირითადი მეთოდები ა/კსფსრ-ში ტყავეულობის ნედლეულის დამზადებისა. ეს მიმართვა დაიბეჭდოს ოთხ ენაზე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ამბარცუმიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. აპრილის 19. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 111 №-ში 1928 წ. მაისის 16-ს.

დადგენილება № 37 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

126. ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით, საერთო-საფედერაციო ბიუჯეტით და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებით გასატარებელი შემოსავალ-გასავლის საბალანსო ჯუმლების ფორმის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით, საერთო-საფედერაციო ბიუჯეტით და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებით გასატარებელი შემოსავალ-გასავლის საბალანსო ჯუმლების ფორმები 1928 წლისთვის, ხარჯების უწყებათა და დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებზე განაწილებით.

2. მიღებულ იქნეს ცნობად ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ 1927-28 წლისთვის შემუშავებული—ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით, საერთო-საფედერაციო ბიუჯეტით და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებით გასატარებელი შემოსავალ-გასავლის საბალანსო ჯუმლების ფორმები, ხარჯების დანიშნულების საგნებზე განაწილებით.

3. ა/კსფსრ საკანონმდებლო ორგანოებისათვის დასამტკიცებლად წარსადგენ ჯუმლების პროექტებში მოთავსებულ უნდა იქნეს ცნობების სახით დამატებითი გრაფები, რომლებიც შეიცავს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული წინა წლის ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო დანიშნულებათა თანხებს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ამბარცუმიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. აპრილის 12. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"ს 114 №-ში 1928 წ. მაისის 19-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 2.

ჯ უ მ ლ ი

(რესპუბლიკ სახელწოდ.) სახელმწ. ბიუჯეტის ხარჯებისა 1927-28 საბ. წლ-თვის ხარჯების დანიშნულების მთავარ საგნებზე განაწილებით.

ხარჯების სახელწოდ. დანიშნ-თა მთავარი საგნების მიხედვით	მანეთ.
ს ა ხ ა ლ ხ ო მ ე ურ ნ ე ო ბ ა	
1. სახალხო მეურნეობის მოწესრიგება	
2. მრეწველობა	
3. ელექტროფიკაცია	
4. სოფლის მეურნეობა და წყალთა მეურნეობა	
ა) მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგები	
ბ) სატყეო მეურნეობა	
გ) გადასახლება	
დ) სასოფლო-სამეურნეო ბანკების ფინანსიურად მოგვარება	
ე) საკრედიტო-კოოპერატიული ორგანიზაციების ძირითადი კაპიტალის გაძლიერება	
ვ) უღარიბესი მოსახლეობისა და კოლექტიური მეურნეობებისათვის კრედიტის მიცემა	
ზ) გატრესტებული საბჭოთა მეურნეობების ფინანსიურად მოგვარება	
5. კოოპერაცია	
6. ღონისძიებანი ვაჭრობის განვითარებისათვის	
7. კომუნალური მეურნეობა	
სოციალურ-კულტურული საჭიროებანი:	
1. სოციალურ-კულტურულ სამუშაოთა ადმინისტრატიულად მოგვარება	
2. განათლება, მეცნიერება და ხელოვნება	
3. ჯანმრთელობა	
4. შრომის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	
სახელმწიფო მმართველობა:	
1. მმართველობის საერთო ხარჯები	
2. გეგმიანობა და სტატისტიკა	
3. საზოგადოებრივი წესიერების დაცვა	
4. სასამართ., პროკურატურა და გამასწორებელი დაწესებულ.	
5. საფინანსო მეურნეობის საოპერაციო ხარჯები	
ადგილობრივ ბიუჯეტში გადასაცემი და გადასარიცხი სახსარი:	
ა) სახელმწიფო შემოსავლის ანარიცხები	
ბ) სუბვენცია, დოტაცია და სესხი	
სახალხო კომისართა საბჭოების სარეზერვო ფონდები	
სხვა ფონდები	
ს უ ლ	

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯ ამ

ა/კსფსრ 1927-28 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით გასატარებელი ხარჯთაღრიცხვებ

სახელმწიფო შემოსავალი	აღრიცხულია მანეთობით
ა. საგადასახადო შემოსავალი.	
I. პირდაპირი გადასახადი:	
1. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი	
2. სასარეწაო გადასახადი	
3. საშემოსავლო გადასახადი	
4. ფასეულობის ბრუნვის გადასახადი	
5. მემკვიდრეობისა და გაჩუქების წესით გადასული ქონების გადასახადი	
II. ბაჟი და გამოსაღები:	
1. საღერბო გამოსაღები	
2. სხვა ბაჟი და გამოსაღები	
საგადასახადო შემოსავლი ჯამი .	
ბ. არასაგადასახადო შემოსავალი.	
III. სახელმწიფო ქონებისა და საწარმოთა შემოსავალი:	
1. სახელმწიფო მრეწველობისა	
2. სახელმწიფო ვაჭრობისა: შინა-ვაჭრობისა	
საგარეო ვაჭრობისა	
3. ბანკებისა	
4. ტყეებისა	
5. წიაღისა	
6. სხვა სახელმწიფო ქონებისა და საწარმოთა	
7. კონცესიებისა	
IV. სესხის დაბრუნებისა და სესხის %-ს შემოსავალი	
V. სხვადასხვა სახის შემოსავალი	
არასაგადასახადო შემოსავლის ჯამი	
VI. აღსრულებული სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი	
ს უ ლ	

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 1-ლი

ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა „ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით, საერთო-საფედერაციო ბიუჯეტით და ა/კ ფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებით გასატარებელი შემოსავალ-გასავლის საბალანსო ჯუმლების ფორმის შესახებ".

ლ ი

შემოსავლისა და გასავლისა — ხარჯების უწყებათა და დაწესებულებათა ზე განაწილებით.

სახელმწიფო გასავალი	დანიშნულია მანეთობით
I. დამოუკიდებელი ხარჯთაღრიცხვების მქონე უწყებანი და დაწესებულებანი:	
1. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები	
2. სახალხო კომისართა საბჭოები	
3. სახელმწიფო საგეგმო კომისიები	
4. ფინანსთა სახალხო კომისარიატი	
5. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო	
6. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი	
7. შრომ ს სახალხო კომისარიატი	
8. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი	
9. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო	
10. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატები	
11. იუსტიციის სახალხო კომისარიატები	
12. განათლების სახალხო კომისარიატები	
13. ჯანმრთ ელობის სახალხო კომისარიატები	
14. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატები	
15. მიწათმოქმედების სახ. ღ ხო კომისარიატები	
16. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო	
II. სახალხო მეურნეობის ფინანსიურად მოგვარება — უწყებათა და დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებში შეტანილ ასიგნვათა გარდა:	
1. მრეწველობა	
2. ელექტროფიკაცია	
3. სოფლის მეურნეობა (ელექტროფიკაციის გარდა) და წყალთა მეურნეობა	
ა) სასოფლო-სამეურნეო ბანკების ფინანსიურად მოგვარება	
ბ) საკრედიტო-კოოპერატიული ორგანიზაციების ძირითადი კაპიტალების გაძლიერება	
გ) უღარიბესი მოსახლეობისათვის და კოლექტიურ მეურნეობებისათვის კრედიტის მიცემა	
დ) გატრესტებული საბჭოთა მეურნეობების ფინანსიურად მოგვარება	
ე) ირიგაცია და მელიორაცია	
ზ) ცალკეული ღონისძიებანი	
4. კოოპერაცია (სას.-სამეურნეო კოოპერაციის გარდა)	
5. ღონისძიებანი ვაჭრობის განვითარებისათვის	
6. კომუნალური მეურნეობა და საბინაო მშენებლობა	
7. სხვა ღონისძიებანი	
III. განსაკუთრებული ფონდები:	
1. ბრძოლა უმუშევრობასთან	
2. ბეჭდვითი სიტყვის ფინანსიურად მოგვარება	
3. სახალხო კომისართა საბჭოების სარეზერვო ფონდი	
4. სხვა ფონდები	
IV. ადგილობრივი ბიუჯეტისათვის გადასაცემი სახსარი:	
სახელმწიფო შემოსავლის ანარიცხები	
2. სუბვენცია და დოტაცია	
3. ადგილობრივი ბიუჯეტების მოწესრიგების ფონდი	
V. გასული წლის დამთავრებული ხარჯთაღრიცხვების ხარჯები	
ს უ ლ	

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯ უ მ

ა/ქსფსრ 1927-28 წლის საერთო-საფედერაციო ბიუჯეტით გასათვალისწინებელ ხარჯთაღრიცხვებ

სახელმწიფო შემოსავალი	აღრიცხულია მანე/თობით
ა. საგადასახადო შემოსავალი.	
I. პირდაპირი გადასახადი:	
1. ფასეულობის ბრუნვის გადასახადი	
II. ბაჟი და გამოსაღები:	
1. საღერბო გადასახადი	
2. სხვა ბაჟი და გამოსაღები	
საგადასახადო შემოსავლის ჯამი .	
ბ. არასაგადასახადო შემოსავალი.	
III. სახელმწიფო ქონებისა და საწარმოთა შემოსავალი:	
1. სახელმწიფო მრეწველობისა	
2. სახელმწიფო ვაჭრობისა: შინა-ვაჭრობისა	
3. ბანკებისა	
4. წიაღისა	
5. კონცესიებისა	
IV. სესხის დაბრუნებისა და სესხის %-ს შემოსავალი	
V. სხვადასხვა სახის შემოსავალი	
არასაგადასახადო შემოსავლის ჯამი	
VI. აღსრულებული სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი	
ს უ ლ	

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი მე-2

ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა „ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფ. ბიუჯეტით, საერთო-საფედერაციო ბიუჯეტით და ა/კსფსრ მედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებით გასტარებელი შემოსავალ-გასავლის საბალანსო ჯუმლების ფორმის შესახებ".

ლ ი

შემოსავლისა და გასავლისა—ხარჯების უწყებათა და დაწესებულებათა ზე განაწილებით.

სახელმწიფო გასავალი	დანიშნულია მანეთობით
I. დამოუკიდებელი ხარჯთაღრიცხვების მქონე უწყებანი და დაწესებულებანი:	
1. ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი . .	
2. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო	
3. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია	
4. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი	
5. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი	
6. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი	
7. ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი	
8. ამერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო . .	
9. ამერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო	
10. ა/კ. რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულის სამმართველო ა/კ. რკ. გზებზე ჯანმრთელობის დაცვისათვის	
II. სახალხო მეურნეობის ფინანსიურად მოგვარება—უწყებათა და დაწესებულებ. ხარჯთაღრიცხვებში შეტანილ ასიგნვათა გარდა	
1. მრეწველობა	
2. ელექტროფიკაცია	
3. სოფლის მეურნეობა (ელექტროფიკაციის გარდა) და წყლათა მეურნეობა	
ა) სასოფლო-სამეურნეო ბანკების ფინანსიურად მოგვარება . .	
ბ) საკრედიტო-კოოპერატიული ორგანიზაციების ძირითადი კაპიტალების გაძლიერება	
გ) უღარიბესი მოსახლეობისათვის და კოლექტიური მეურნეობებისათვის კრედიტის მიცემა	
დ) ირიგაცია და მელიორაცია	
ე) გადასახლება	
ვ) ცალკეული ღონისძიებანი	
4. კოოპერაცია (სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის გარდა) . .	
5. ღონისძიებანი ვაჭრობის გაჯეთარებისათვის	
6. სხვა ღონისძიებანი	
III. განსაკუთრებული ფონდები:	
1. ბრძოლა უმუშევრობასთან	
2. ბეჟდვითი სიტყვის ფინანსიურად მოგვარება	
3. სახალხო კომისართა საბჭოს სარეზერვო ფონდი	
4. სხვა ფონდები	
IV. გასული წლის დამთავრებული ხარჯთაღრიცხვების ხარჯები .	
სულ	

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯ უ მ

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების 1927—28 წ. სახელმწ უწყებათა და დაწესებულებათა

სახელმწიფო შემოსავალი	აღრიცხულია მანეთობით
ა. საგადასახადო შემოსავალი.	
I. პირდაპირი გადასახადი:	
1. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი	
2. სასარეწაო გადასახადი	
3. საშემოსავლო გადასახადი	
4. ფასეულობის ბრუნვის გადასახადი	
5. მემკვიდრეობისა და გაჩუქების წესით გადასული ქონების გადასახადი	
II. ბაჟი და გამოსაღები:	
1. საღერბო გამოსაღები	
2. სხვა ბაჟი და გამოსაღები	
საგადასახადო შემოსავალო ჯამი .	
ბ. არასაგადასახადო შემოსავალი.	
III. სახელმწიფო ქონებისა და საწარმოთა შემოსავალი:	
1. სახელმწიფო მრეწველობისა	
2. სახელმწიფო ვაჭრობისა: შინა-ვაჭრობისა . . . . . / საგარეო ვაჭრობისა	
3. ბანკებისა	
4. ტყეებისა	
5. წიაღისა	
6. სხვა სახელმწიფო ქონებისა და საწარმოთა	
7. კონცესიებისა	
IV. სესხის დაბრუნებისა და სესხის %-ს შემოსავალი	
V. სხვადასხვა სახის შემოსავალი	
არასაგადასახადო შემოსავლის ჯამი	
VI. აღსრულებული სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი	
ს უ ლ	

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ ი

დანართი მე-3

ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა „ა/კსუსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით, საერთო-საფედერაციო ბიუჯეტით და ა/კსუსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებით გასატარებელი შემოსავალ-გასავლის საბალანსო ჯუმლების ფორმის შესახებ.“

იფუ. ბიუჯეტებით გასატარებელი შემოსავლისა და გასავლისა — ხარჯების ხარჯთალრიცხვებზე განაწილებით.

სახელმწიფო გასავალი	დანიშნული მანეთობით
I. დამოუკიდებელი ხარჯთალრიცხვების მქონე უწყებანი და დაწესებულებანი:	
1. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი	
2. სახალხო კომისართა საბჭო	
3. სახელმწიფო საგეგმო კომისია	
4. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო	
5. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი	
6. იუსტიციის სახალხო კომისარიატი	
7. განათლების სახალხო კომისარიატი	
8. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი	
9. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი	
10. მაწათმოქმედების სახალხო კომისარიატი	
II. სახალხო მეურნეობის ფინანსიურად მოგვარება — უწყებათა და დაწესებულებ. ხარჯთალრიცხვებში შეტანილ ასიგნვათა გარდა	
1. მრეწველობა	
2. ელექტროფიკაცია	
3. სოფლის მეურნეობა (ელექტროფ. გარდა) და წყალთა მეურნ.	
ა) სას.-სამ. ბანკების ფინანსიურად მოგვარება	
ბ) საკრედ.-კოოპერატ. ორგანიზაც. ძირით. კაპიტ. გაძლიერება	
გ) უღარიბ. მოსახლ. და კოლექტ. მეურნ. კრედიტ. მიცემა	
დ) გატრესტებული საბჭ. მეურნ. ფინანსიურად მოგვარება	
ე) ირიგაცია და მელიორაცია	
ვ) გადასახლება	
ზ) ცალკეული ღონისძიებანი	
4. კოოპერაცია	
5. ღონისძიებანი ვაჭრობის განვითარებისათვის	
6. კომუნალური მეურნეობა და საბინაო მშენებლობა	
7. სხვა ღონისძიებანი	
III. განსაკუთრებული ფონდები:	
1. სახალხო კომისართა საბჭოს სარეზერვო ფონდი	
2. სხვა ფონდები	
IV. ადგილობრივი ბიუჯეტისათვის გადასაცემი სახსარი:	
1. სახელმწიფო შემოსავლის ანარიცხები	
2. სუბვენცია და დოტაცია	
V. გასული წლის დამთავრებული ხარჯთალრიცხვების ხარჯი	
სულ	

დადგენილება № 8 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

127. ამერიკავკასიის საოლქო კონტორის — „ა/კ. კრედიტ-ბიუროს“ აპარატის გამოყენების შესახებ.

ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის მარტის 22-ს დადგენილების თანახმად და აგრეთვე იმის გამო, რომ ბევრი სახელმწიფო სავაჭრო-სამრეწველო და საკრედიტო ორგანიზაცია, არსებული დადგენილებების მიუხედავად, საკმარისად არ იყენებს „ა/კ. კრედიტ-ბიუროს“-ს აპარატს როგორც დებიტორების კრედიტ-უნარიანობისა და გაუსტუმრებელი თამასუქებით გადახდევინების თაობაზე შეკითხვების სფეროში, ისე სატრანსპორტო დოკუმენტების (რკინის გზის სატვირთო ბარათებისა, კონოსამენტებისა და სხვ.) შემოწმებისა და ამ დოკუმენტებით სატრანსპორტო ორგანიების მიმართ პრეტენზიების აღძვრის სფეროში, რითაც სახელმწიფოს თვალსაჩინო ზიანი მოსდის, — ამის გამო ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს ყველა სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ორგანიზაციას, რომელიც-კი ა/კსფსრ ტერიტორიაზე მოქმედობს, ურყევად და უკლებლივ აღასრულოს შემდეგი წესები:

I. ა) დაიპიროს „ა/კ. კრედიტ-ბიურო“ — სთან სააბონემენტო ურთიერთობა კრედიტუნარიანობის შესახებ ცნობების მისაღებად;

ბ) შეეკითხოს ხალხელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებისა, კოოპერატიული ორგანიზაციისა და კერძო პირების კრედიტუნარიანობის შესახებ;

გ) აკრძალულია იმ კერძო პირებისათვის, დაწესებულებისათვის, 1-ლი საფეხურის კოოპერატიული ამხანაგობისათვის, საშინამრეწველო და სასარეწაო და სხვ. ორგანიზაციისათვის კრედიტის მიცემა უმისოდ, თუ ყოველივის წინასწარ შეკითხულ არ იქნა „ა/კ. კრედიტ-ბიურო“ საკრედიტავი ორგანიზაციის კრედიტუნარიანობის შესახებ;

დ) შეეკითხოს გამოცხადებულ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთა კრედიტუნარიანობისა, კომერციულ და საქმიანობის თვისებათა შესახებ;

ე) შეატყობინოს „ა/კ. კრდიტ-ბიურო“-ს ყოველი შემთხვევა, როდესაც კონტრაგენტი დაუდევრად და არაკეთილსინდისიერად შეასრულებს თავის ვალდებულებას, აგრეთვე თამასუქების პროტესტი, გაჭიანურება და სხვა გარემოება.

II. გამოიყენოს „ა/კ. კრედიტ-ბიურო“-ს აპარატი გაუსტუმრებელი სავალო პრეტენზიების (თამასუქით, სასამართლ. ბრძან. და სხვ.) გადასახდევინებლად.

III. გადასცეს „ა/კ. კრედიტ-ბიურო-ს“ სატრანსპორტო დოკუმენტები (სატვირთო ბარათები, კონოსამენტები, რკ. გზის ქვითარები და სხვ.) შესამოწმებლად და ზედმეტად გადახდევინებული თანხებისა და ტვირთის ვადაზე ჩაუბარებლობის გამოსარკვევად, აგრეთვე ამ დოკუმენტებით სატრანსპორტო ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განოების წინაალმდეგ პრეტენზიების აღსაძრავად სამეურნეო ორგანოების სასარგებლოდ. ზოგიერთ სამეურნეო ორგანიზაციასთან არსებული სატრანსპორტო უჯრედი გაუქმებულ იქნეს და აგრეთვე მოისპოს სატვირთო ბარათების კერძო პირებისათვის შესამოწმებლად გადაცემის პრაქტიკა.

დასასრულ ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი აცნობებს სახელმწიფო საწარმოთა ხელმძღვანელებს, რომ მათი მეურნეობრივი მოქმედების ანალიზის დროს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ ანგარიშში იქნება მიღებული ის გარემოება, თუ რამდენად არის მათ მიერ გამოყენებული „ა/კ. კრედიტ-ბიურო“ ხარჯების შემცირებისა და მატერიალური ზიანის თავიდან აცილების მიზნით.

IV. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში უნდა გასცენ სათანადო ბრძანება მათ ქვემდებარე საწარმოთა მიმართ.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

საქმეთა მმართველი **შახოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 114 №-ში 1928 წ. მაისის 19-ს.

დადგენილება № 42 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

128. ადგილობრივი მნიშვნელობის ჰიდრო-ელექტრო-სადგურების მოწყობის დროს წყლისა და ჰიდროენერგიის ხარჯვის მოწესრიგების შესახებ.

რათა ელექტროფიკაციის საჭიროებისათვის ა/კსფსრ წყლის რესურსების გამოყენება შეთანხმებულ იქნეს მელიორაციის ინტერესებთან, ა/კსფსრ სახალხო კომისათა საბჭო ადგენს:

შემოღებულ იქნეს შემდეგი წესი ჰიდრო-ელექტრო-დანადგამების პროექტებისა და საამისო განზრახულებათა შეთანხმებისათვის:

1. ადგილობრივი მნიშვნელობის ჰიდრო-ელექტრო-დანადგამის პროექტს ძალოვნებით 500 კილოვატამდე დაამტკიცებს სათანადო ორგანო (საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი) მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც წარდგენილი იქნება ცნობა, რომ საკითხი წყლის გამოყენისა—მისი ვარდნის ძალის გამოსაყენებლად და აგრეთვე წყლის გამოყენისა, დენისა და გადაგდების ჰიდროტეხნიკურ ნაგებობათა პროექტი შეთანხმებულია სათანადო სესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან.

შენიშვნა 1. რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველო, აღნიშნული პროექტების თაობაზე თავისი დასკვნის მიცემასთან ერთად, ამ დასკვნის ასლს გაუგზავნის ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს.

შენიშვნა 2. უკეთუ შეთანახმება ვერ იქნა მიღწეული, საკითხს საბოლოოდ გადასწყვეტს რესპუბლიკანური ეკონომიური თათბირი.

№ 12

2. ვიდრე ისეთი ჰიდრო-ელექტრო-დანადგამის პროექტი, რომლის ძალოვნებაც 500 კილოვ. აღემატება, სათანადო ორგანოს დასამტკიცებლად წარედგენებოდეს, ამ პროექტის შემდგენელი მოვალეა მიიღოს:

ა) ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს თანხმობა პროექტით განზრახული წყლის გამოყენისა და მისი ვარდნის ძალის გამოყენების უფლებაზე;

ბ) ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს დასკვნა პროექტის იმ ნაწილის თაობაზე, რაც წყლის გამოყენისა, დენისა და გადაგდების ჰიდროტეხნიკურ ნაგებობას შეეხება.

შენიშვნა. უკეთუ თანხმობა მიღწეულ ვერ იქნა, საკითხს საბოლოოდ გადასწყვეტს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

3. პროექტის შემდგენელმა გამოკვლევის წარმოებამდე და პროექტის დამუშავებამდე უნდა შეუთანხმოს წყალთა მეურნეობის სათანადო ორგანოს საკითხი ამა თუ იმ ადგილიდან წყლის გამოყენისა და გამოყენების შესაძლებლობისა და თვით იმ ადგილის სარგებლობის თაობაზე.

4. 1-ლ, მე-2 და მე-3 მუხლში აღნიშნული საკითხების გამო დასკვნის მიცემისათვის დაწესდება უკიდურესი ვადა: რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოსათვის—სამი კვირა, ხოლო ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსათვის თვენახევარი.

უკეთუ აღნიშნული ვადების განმავლობაში დასკვნა მიღებულ არ იქნა, იგულისხმება, რომ შეთანხმება მოხდა.

5. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ, ა/კსფსრ ელექტროფიკაციის ხუთ წლიანი საპერსპექტივო გეგმის შედგენის დროს,—ამ გეგმის ჯერ კიდევ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში წარდგენამდე,—უნდა შეუთანხმოს წყალთა მეურნეობის სათანადო ორგანოს საგეგმო განზრახულებანი ჰიდროტეხნიკურ დანადგამების თაობაზე და დაუკავშიროს ეს განზრახულებანი მელიორაციის გეგმებს.

6. პროექტში ცვლილების შეტანა როგორც გამოსაყენი წყლის რაოდენობისა, ისე ნაგებობათა ტიპის შესახებ, რაც უკვე შეთანხმებულია წყალთა მეურნეობის ორგანოებთან, შეიძლება მხოლოდ წყალთა მეურნეობის იმ ორგანოებთან შეთანხმებით, რომელთაც დასკვნისათვის წარედგენათ პროექტის სათანადო ნაწილი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. მაისის 3. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა“-ს 116 №-ში 1928 წ. მაისის 22-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

129. სოფლის მოსახლეობის უღარიბესი ნაწილისათვის კრედიტის მისაცემი საამიერკავკასიო ფონდის ხარჯვის ანგარიშგების წარდგენის წესების დამატების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის მაისის 8-ს დადგენილების (განმკ. სხდ. ოქმი № 16, მუხ. 3) თანახმად „სოფლის მოსახლეობის უღარიბესი ნაწილისათვის კრედიტის მისაცემი საამიერკავკასიო ფონდის ხარჯვის ანგარიშგების წარდგენის წესებს“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-8 №-რი, მუხ. 79 და „ზ. ვ.“ 69 №-რი 1928 წ. მარტის 24-სა) დაემატოს შემდეგი:

1. მე-6 მუხლის ბოლოს, სიტყვების „ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „და 1 ცალად—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს—სახელმწიფო საფინსო კონტროლის ხაზით“

2. მე-8 მუხლის „ბ“ პუნქტში სიტყვებ შუა „(მე-3 №-რის ფორმა)“ და „არა უგვიანეს“... ჩაერთოს სიტყვები: „და რესპუბლიკანურ ფინანსთა სახალხო კომისარიატებს—სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ხაზით.“

3. მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტში სიტყვებ შუა „(მე-3 №-რის ფორმა)“ და „არა უგვიანეს...“ ჩაერთოს სიტყვები: „და რესპუბლიკანურ ფინანსთა სახალხო კომისარიატებს—სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ხაზით.“

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მაგიერ **გაბიევი.**

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარ. არსებული

სახელმწ. საფინ. კონტრ. სამმართვ. უფრ. მაგიერ **სიმონიანი.**

1928 წ. მაისის 16. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 116 №-ში 1928 წ. მაისის 22-ს.

დადგენილება № 14 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

130. სმრეწველო საწარმოთა მუშაობის აღნუსხვის შესახებ.

რადგანაც ა/კსფსრ მრეწველობის სათანადო წარმართვისათვის და მისი სახელმწიფოებრივი გეგმიანობის მიზნებისათვის საჭიროა სმრეწველო საწარმოთა ყოველმხრივი აღნუსხვა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამართველოსთან მრეწველობის მეთვალყურე ბიურო—ა/კსფსრ ტენტრალური სტატისტიკური სამართველოს, შრომის სტატისტიკის ამიერკავკასიის ბიუროს, ამიერკავკასიის პროფე-

№ 3422 ეროვნული ბიბლიოთეკა

სიონალურ კავშირთა საბჭოს, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სტატისტიკურ-ეკონომიური და სამრეწველო სექციების წარმომადგენელთა შედგენილობით. დაეკისროს ბიუროს მოკლე ცნობების მიღება ყველა სახელმწიფო ცენზიანი სამრეწველო, აგრეთვე კოოპერატიული და სახელმწიფო მნიშვნელობის კერძო საწარმოს მუშაობის შესახებ და მიღებული მასალის დამუშავება ა/კსფსრ-ში ცენზიანი მრეწველობის მუშაობის მსვლელობის ნათელსაყოფად. დაკვირვების წრე შემოიფარგლოს იმ ცნობებით, რასაც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები წარუდგენენ ხოლმე სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სტატისტიკის ცენტრალურ განყოფილებას.

შენიშვნა. მიენდოს ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამართველოს შეადგინოს, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად, იმ სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო საწარმოთა განსაკუთრებული სია რომელნიც მიღებულ უნდა იქნენ აღნუსხვაზე.

2. დაევალოს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო სამრეწველო საწარმოს გაუგზანოს ხოლმე ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს (მრეწველობის მუშაობის მეთვალყურე ბიუროს) ყოველთვიური სტატისტიკური ცნობები საწარმოთა მუშაობის შესახებ იმ ფორმით, რაც დაწესებულია სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სტატისტიკის ცენტრალური განყოფილებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 . მაისის 3. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 117 №-ში 1928 წ. საისის 23-ს.

დადგენილება № 74 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. აპრილის 28.

132. ტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივების სამუშაოთა ადგილებზე მომქმედი შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებისათვის სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1928 წ. აპრილის 9-ს დამტკიცებული დებულების ა/კსფსრ ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს: შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებული 1928 წ. აპრილის 9-ს თარიღისა და 220 №-რის „დებულება ტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივების სამუშაოთა ადგილებზე მომქმედ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების შესახებ„ (გამოქვ. გაზ. „ტრუდ"-ის 87 (2124) №-ში 1928 წ. აპრილის 17-ს).

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სატარ.-საკონფლ. განყ. გამგე **სიზოტენკო.**

შეთანხმებულია ა/კ. პროფკავშირთა საბჭოსთან: **იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 118 №-ში 1928 წ. მაისის 24-ს.

დადგენილება № 62 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. აპრილის 7.

132. სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საგლეხო მეურნეობაში დაქირავებით მომუშავე პირთა სოციალური წესით დაზღვევის თაობაზე" 1927 წ. ოქტომბრის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების განხორციელების წესის შესახებ"

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე:

ა) სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1928 წ. მარტის 15-ს თარიღისა და 163 №-რის დადგენილება „სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საგლეხო მეურნეობაში დაქირავებით მომუშავე პირთა სოციალური წესით დაზღვევის თაობაზე„ 1927 წ. ოქტომბრის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების განხორციელების ვადების შესახებ" (გამოქვეყნებულია გაზ. „ტრუდ"-ის 64 (2101) 1928 წ. მარტის 16-ს);

ბ) სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს მიერ დამტკიცებული 1928 წლის მარტის 15-ს თარიღისა და 162 №-რის „წესები საგლეხო მეურნეობაში დაქირავებით მომუშავე პირთა სოციალური წესით დაზღვევის შესახებ" (გამოქვეყნებულია გაზ. „ტრუდ"-ის 64 (2101) №-ში 1928 წ. მარტის 16-ს);

2. ის 15.000 ერთეული, რაც ა/კსფსრ-ში სოციალური დაზღვევის ფარგალში უნდა მოექცეს, სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 163 №-ის დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ, განაწილებულ იქნეს შემდეგნაირად:

საქართველოს სსრ— 7.000 პირი, საგლეხო მეურნეობაში მომუშავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზერბიჯანის სსრ—6.500 პირი, საგლეხო მეურნეობაში მომუშავე.

სომხეთის სსრ—1.500 პირი, საგლეხო მეურნეობაში მომუშავე.

ამ რიცხვში არ უნდა შეეიდნენ ის სოფლის მეურნეობის მუშები, რომელთაც 1928 წ. აპრილის 1-დან სოციალური დაზღვევა ფაქტიურად უკვე შეეხოთ.

3. დაწყებულ იქნეს 1928 წ. აპრილის 1-დან სოფლის მეურნეობის მუშათა დაზღვევა სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საგლეხო მეურნეობაში დაქირავებით მომუშავე პირთა სოციალური წესით დაზღვევის შესახებ“ 1927 წ. ოქტომბრის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების საფუძველზე.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სოციალური დაზღვევის

მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილე **თუშიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 118 №-ში 1928 წ. მაისის 24-ს.

სავალდებულო დადგენილება № 28 ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისიისა.

1927 წ. მარტის 10.

133. ტყავის ფართობის მეტრული საზომით გაზომვის შესახებ.

ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის ოქტომბრის 29-ს თარიღისა და 53 №-რის დადგენილების მე 11 §-ს „გ“ პუნ. შესასრულებლად ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისია ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს 1929 წლის იანვრის 1-დან როგორც ა/კსფსრ-ში დამზადებული, ისე სსრკ-ის სხვა ადგილებიდან და უცხოეთიდან მიღებული ტყავის გაზომვისათვის მარტოოდენ მეტრული საზომის ხმარება.

შენიშვნა. ტყავის საქონლის საზღვარგარეთ ან სსრკ-ის ამა თუ იმ ადგილას შეკვეთის დროს, უკეთუ ამ შეკვეთაში აღნიშნული იქნება ზომა, იგი აუცილებლად მეტრული საზომით უნდა იყოს გამოხატული.

2. ტყავის საზომ მეტრულ ერთეულად დაწესებულ იქნეს კვ. დეციმეტრი.

3. ამა დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხ. შესასრულებლად დაევალოს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო საწარმოს, რომელიც-კი აწარმოებს ტყავის საქონლსა და ნაკეთობას, მათ შორის იმათაც ვინც ტყავის საქონლისა და ნაკეთობის ვაჭრობას ეწევა, აღნიშნულ ვადისათვის—1929 წ. იანვრის 1-თვის—შესცვალონ ან გადააკეთონ ტყავის საზომავი ხელსაწყო მეტრულ ხელსაწყოდ, აგრეთვე გადაიტანონ თავიანთი პრეისკურანტები მეტრულ სისტემაზე და ტყავის გაცემა და ანგარიში აწარმოონ მარტოოდენ მეტრული საზომით.

4. ამა დადგენილების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლის თანახმად.

ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის
თავმჯდომარე **ნაჯაფოვი.**

მდივანი **ხარატიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას"-ს 118 №-ში 1928 წ. მაისის 24-ს

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

134. სახალხო კომისარიატებისათვის იმ უფლების მინიჭების შესახებ, რომ კერძო ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ შესრულებულ მუშაობაზე გაწეული ხარჯის ასანაზღაურებლად დაწესონ და გადაახდევინონ მათ განსაკუთრებული გამოსაღები.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ფედერატიულ ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებათა იმ ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც გამოწვეულია მათ მიერ კერძო ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ შესრულებული მუშაობისათვის(ბომსახურეობა, მოქმედება და სხვ.), რის უსასყიდლოდ წარმოებაც ამ დაწესებულებათ დაკისრებული არა აქვთ მათ შესახებ მომქმედი დებულებებით,—ა/კსფსრ სახალხო კომისარიატებს, რომელთა გამგებლობაშიაც იმყოფებიან აღნიშნული დაწესებულებანი, შეუძლიანთ, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიტთან შეთანხმებით, დაიწესონ განსაკუთრებული გამოსაღები და გადაახდევინონ იმავე წესით დამტკიცებული ნიხრის მიხედვით.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული გამოსაღებით შემოსული თანხები ჩაირიცხება სახელმწიფო შემოსავლად ა/კსფსრ სათანადო სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით.

3. წინადადება ეძლევათ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ დადგენილებანი აღნიშნული რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებისათვის იმ უფლებების მინიჭების შესახებ, რომ მათ, იმავე რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, დაიწესონ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული გამოსაღები, რასაც გადაახდევინებენ რესპუბლიკანურ ბიუჯეტზე მყოფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესებულებანი და ჩარიცხავენ რესპუბლიკების შემოსავლად სათანადო სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. მაისის 21. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 122 №-ში 1928 წ. მაისის 29-ს.

დადგენილება № 83 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. მაისის 17.

135. კვალიფიციურ მშენებელ მუშათა სასწრაფო მომზადებისათვის ანარიცხების გადახდევინებისა და ხარჯვის წესის შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წ. აპრილის 17-ს თარიღისა და 232 №-რის დადგენილება „კვალიფიციურ მშენებელ მუშათა სასწრაფო მომზადებისათვის ანარიცხების გადახდევინებისა და ხარჯვის წესის შესახებ".

2. კვალიფაციური მშენებელი მუშების სასწრაფო მომზადებისათვის ანარიცხების გადადებას ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი დაწესებულება და საწარმო დაიწყებს 1928 წ. მაისის 1-დან.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის შრომის ბაზრის განყოფ. გამგე **გრიგორიანი.**

დადგენილება № 232 სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. აპრილის 17.

კვალიფიციურ მშენებელ მუშათა სასწრაფო მომზადებისათვის ანარიცხების გადახდევინებისა და ხარჯვის წესის შესახებ.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ „მშენებლობის ღირებულების შემცირების შესახებ" 1928 წ. მარტის 23-ს თარიღით გამოცემული დადგენილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

(„სსრკ ცენ. აღმ. კომ. და სრულიად რუსეთის ცენ. აღმ. კ-ტის იზვესტია“-ს 79 №-რი 1928 წ. აპრილის 3-სა) მე-20 მუხლის თანახმად და შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული საამშენებლო კომისიის მიერ „საწარმოო ხარჯთაღრიცხვებისა და ანგარიშების შედგენის დროს სამშენებლო სამუშაოთა ღირებულებისათვის ზედნადები ხარჯების დირიცხვის წესისა, ნომენკლატურისა და რაოდენობის შესახებ“ გამოცემული 1928 წ. მარტის 29-ს თარიღის ინსტრუქციის („სსრკ ცენ. აღმ. კომ. და სრულიად რუსეთის ცენ. აღმ. კ-ტის იზვესტია“-ს 80 №-რი 1928 წ. აპრილის 4-სა) მე-9 §-ის მე-2 მუხლის განსავითარებლად—სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. ყველა ის სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერატიული დაწესებულება და საწარმო, აგრეთვე სახელმწიფო ან კოოპერატიული კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედი სააქციონერო საზოგადოება, რომელიც-კი სამშენებლო მუშაობას აწარმოებს (როგორც ახალი სამრეწველო, საბინაო და ყველა სხვა მშენებლობისა, ისე კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის), მოვალეა შეიტანოს ადგილობრივ დამზღვევ სალაროში, ამ სალაროს მიერ დაწესებულ ვადაზე, ანარიცხი კვალიფიციური მშენებელი მუშების სასწრაფო მომზადებისათვის მშენებელი მუშებისათვის მიცემული სამუშაო ხელფასის მთელი თანხის 0,75%-ის რაოდენობით.

აღნიშნული ანარიცხი შეტანილ უნდა იქნეს მთლად სამუშაო ხელფასის იმ თანხაზე, რაც ფაქტიურად გადახდილია, დაწყებული 1928 წ. აპრილის 1-დან.

2. მთლად იმ სახსარს, რაც მიღებულ იქნება 1-ლი მუხლის წესისამებრ, დამზღვევი სალარო გაჰგზავნის ყოველთვე მოსკოვში სსრკ სახელმწიფო ბანკის გამგეობაში სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 8517 №-ის სპეციალურ მიმდინარე ანგარიშზე ჩასარიცხად.

3. 1-ლი მუხლის წესისამებრ მიღებული სახსარი იხარჯება კვალიფიციური მშენებელი მუშების სასწრაფო მომზადებისათვის. ეს მომზადება მოეწყობა: ა) პირველ რიგში—შრომის ცენტრალური ინსტიტუტის კურსებზე; ბ) სპეციალურად შრომის ბირჟების მიერ კოლექტივებსა და საწარმოში უმუშევართაგან მოწყობილ კურსებზე; გ) სამშენებლო მუშაობის მწარმოებელ სამეურნეო ორგანოების მიერ მოწყობილ კურსებზე.

შენიშვნა 1. ამა მუხლში აღნიშნული კურსები უნდა მოეწყოს, შეძლებისადაგვარად, შრომის ცენტრალური ინსტიტუტის მეთოდით; ამისათვის შრომის ცენტრალურმა ინსტიტუტმა სპეციალური შეკვეთით უნდა მოამზადოს სათანადო მეთოდიური საშუალებანი და გაშალოს ინსტრუქტორთა კურსები.

შენიშვნა 2. კვალიფიციური მშენებელი მუშების სასწრაფო მომზადებისათვის მიღებული სახსარი არ შეიძლება დაიხარჯოს სხვა რამ მიზნისათვის, თუ არა პირდაპირი დანიშნულებისამებრ (უმუშევრობისათვის დახმარების მიცემა, მოსწავლეთ შენახვა და სხვ.).

4. კვალიფიციური მშენებელი მუშების სასწრაფო მომზადების მოწყობა და აგრეთვე საამისოდ დანიშნული სახსარის ხარჯვა (მე-3 მუხ.) სწარმოებს იმ გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების მიხედვით, რასაც განსაზღვრავს სსრკ შრომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისარიატი, სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან, შრომის ინსტიტუტან და მშენებელ მუშათა სრულიად საკავშირო კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით.

მუშების მომზადების საქმის გამძღოლი ორგანიზაციების მიერ სახსარის სისწორით ხარჯვის წარმოებას, დამტკიცებული გეგმის თანახმად, კონტროლს გაუწევს სსრკ შრომის სახალხო კომისარიატი.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული გეგმებით გათვალისწინებულ უნდა იქნეს: მოსწავლეთა რიცხვი პროფესიობითა და რაიონობით, მომზადებული მუშების გამოშვების საკალენდრო ვადები, მათი კვალიფიკაციის მოცულობა, ექსპერტიზის ხასიათი, სწავლების ღირებულება და სხვ.

5. კვალიფიციური მშენებელი მუშების სასწრაფო მომზადების იმ კურსების შევსება, რომლებსაც მოაწყობენ შრომის ცენტრალური ინსტიტუტი და შრომის ბირჟები, სწარმოებს უმთავრესად შრომის ბირჟებზე რეგისტრაციაქმნილ უმუშევართაგან, როგორც მოზარდთა და ზემოზარდთაგან, ისე ასაკოვან უმუშევართაგან, უპირატესად იმ პროფესიებისა, რომლებშიაც უმუშევრობამ მიიღო მყარი ხასიათი.

ხოლო ის კურსები, რომლებსაც მოაწყობენ სამეურნეო ორგანოები, შეივსება მათთან მომუშავე მუშების რიცხვიდან და შრომის ბირჟებზე რეგისტრაციაქმნილ უმუშევართაგან იმ წესის მიხედვით, რაც განსაზღვრულ იქნება მშენებელ მუშათა კავშირთან შეთანხმებით.

6. სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ 1-ლი მუხლით დადგენილი ანარიცხების გადახდევინებისა და აღნუსხვის წესი განისაზღვრება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ინსტრუქციით.

სსრკ შრომის სახალხო კომისარი **შმიდტი.**

სსრკ შრ. სახ. კ-ტის კოლეგიის წევრი და შრ. სახ.
კ-ტის შრომის ბაზრის განყოფილების გამგე **გინდინი.**

სოციალური დაზღვევის ცენტრალური სამმართველოს უფროსის მოადგილე **ფეიგელი.**

შეთანხმებულია: სსრკ სმუს-ი—**რუხიმოვიჩი,** შრ. ცენ. ინსტ.—**გასტევი,** მშენებელ მუშათა სრულიად საკავშირო კავშირის ცენ. კომ.—**ბოგდანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 123 №-ში 1928 წლის მაისის 30-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 45 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

136. საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის დებულების დამატების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის დებულების (აკსფსრ კან. კრ. 1923 წ. მე-7 №-რი, მუხ. 74) მე-2 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. სატარიფო თათბირის გამგებლობის საგანს შეადგენს: დაუწესოს მთლად ამიერკავკასიის რკინის გზების სიგრძეზე ტარიფები მგზავრთა გადაყვანისა და ბარგისა და ტვირთის გადაზიდვისათვის, აგრეთვე ტარიფები ამიერკავკასიის ავტო-ტრანსპორტის საავტო-სამრეწველო საზოგადოების ხაზებით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგისა და ტვირთის გადაზიდვისათვის; შესცვალოს, შეავსოს და გააუქმოს ტარიფები და გადაზიდვასთან დაკავშირებული დამატებითი გამოსაღებები; ზედამხედველობა გაუწიოს თავის გადაწყვეტილებათა აღსრულებას; აღძრას საკითხი და შუამდგომლობა სარკინისგზო (პირდაპირი მიმოსვლის) და საავტომობილო ქსელის გზებზე განსაზღვრული საერთო ტარიფების დაწესების შესახებ, რამდენადაც საავტომობილო ტარიფები ა/კსფსრ ტერიტორიას ეხება“.

11. იმავე დებულების მე-17 მუხლში სიტყვების „რკინისგზელთა“ შემდეგ ჩაერთოს სიტყვა: „საავტომობილო“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელავა.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. მაისის 10. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 123 №-ში 1928 წლის მაისის 30-ს.

დადგენილება № 46 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

137. ბამბის ტვირთის ა/კსფსრ ფარგლებს გარეშე გაზიდვისა და ა/კსფსრ ფარგლებში გადაზიდვის წესის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ ფარგლებიდან ხამი ბამბისა, ბამბის ბოჭკოს, ჩახბუთისა, ლინტერისა და ბამბისქულის რკინისგზითა და წყალსავალი გზებით გაზიდვა ნებადართული აქვს მარტოოდენ ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტსა და მებამბეობის მთავარი კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში.

შენიშვნა. ჩახბუთის გაზიდვა, ამა მუხლში აღნიშნული ორგანიზაციების გარდა, ნებადართული აქვს აგრეთვე იმ სახელმწიფო და კოოპერატი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულ ორგანიზაციებს, რომელთაც, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, შეუძლიანთ დაამზადონ ჩახბუთი.

2. ა/კსფსრ ფარგლებიდან ხამი ბამბისა, ბამბის ბოჭკოს, ჩახბუთისა, ლინტერისა და ბამბისქულის საფოსტო ამანათებით გაგზავნა აკრძალულია.

3. ა/კსფსრ ფარგლებში ხამი ბამბისა, ბამბის ბოჭკოს, ჩახბუთისა, ლინტერისა და ბამბისქულის რკინისგზითა და წყალსავალი გზებით გადაზიდვა და საფოსტო ამანათებით გაგზავნა ნებადართული აქვს ყველა დაწესებულებასა, საწარმოს, ორგანიზაციასა და პირს.

შენიშვნა. რკინისგზით გადაზიდვად ა/კსფსრ ფარგლებში ითვლება გადაზიდვა ბალაჯარისა, ბაქოს, ნახჩევანისა და ნოტანები-ჭალადიდის სადგურამდე.

4. აღნიშნული ტვირთის გაზიდვა და გადაზიდვა სწარმოებს იმ პირობით, [illegible]ერდგენილ უნდა იქნეს მოწმობები, რაც გათვალისწინებულია სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. მაისის 6-ს დადგენილებით „სსრკ ევროპიული ნაწილის რაიონებში და პუნქტებში მოზიდული ბამბის რეგისტრაციის შესახებ და ბამბის ტვირთის გასაგზავნად მიღების წესის შესახებ (სსრკ სახ. კ-თა საბჭოს [illegible]ში № 101, მუხ. 15).

5. „მეთვალყურეობა" ამა დადგენილების შესრულებისათვის დაეკისრება გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) და ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის ოლქის უფროსს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. მაისის 24. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 124 №-ში 1928 წ. მაისის 30-ს.

საქართველოს სახ. კომის. საბჭოს საქმეთა მმართველობის ს ტ ა მ ბ ა
მთავლიტი 1471. ტირაჟი 1000